დღგ-ის ჩათვლა გამოვლენილ დანაკლისზე 11112

ფაქტობრივი გარემოებები	შეფასება	ღონისძიებები
საწარმოში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, გადამხდელს დაუდგინდა სასაქონლო - მატერიალური ფასეულობის დანაკლისი. გამოვლენილი დანაკლისი გადამხდელმა აღიარა საქონლის მიწოდებად, რის შედეგადაც საწარმოს წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.	სსკ-ის 286-ე მუხლის, მე-9 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად. სსკ-ის 174-ე მუხლის შესაბამისად, დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქონელი ან/და მომსახურება გამოიყენება ან გამოყენებული იქნება, დასაბეგრ ოპერაციებში.	საწარმოს ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ ხდება .
გადამხდელმა, მიწოდებად განხილულ სასაქონლო -მატრიალურ ფასეულობაზე გადახდილი დღგ ჩაითვალა ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე სსკ-ით დადგენილი წესით.	იმის გათვალისწინებით, რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი მისი გამოვლენის მომენტში ითვლება ერთი ოპერაციის ფარგლებში განხორციელებულ მიწოდებად, ამ სმფ-ის შეძენაზე გადახდილი დღგ-ის ჩათვლა შესაძლებელია სსკ-ის დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.	